92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

2025 წლის 4 ოქტომბერი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღეა!

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №19 (7142) 1 ოქტომბერი, 2025 წელი

ღირსახსოვარი დღე– ღირსახსოვარი მოვლენა!

თერჯოლის, ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის პედკოლექტივსა და აღსაზრდელებს წლების განმავლობაში არასახარბიელო პირობებში, ამორტიზებულ და კეთილმოუწყობელ შენობაში უხდებოდათ მუშაობა და სწავლა.

გასული წლის მაისში, სასწავლო წლის დასრულების შემაჯამებელ თემატურ კონცერტს მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე დაესწრო, რომელმაც კარგად აღიქვა თუ რა მდგომარეობაში იყო სკოლის შენობა.

წარმატებულად ჩატარებული კონცერტის შემდეგ, მან მონაწილეებისა და პედაგოგებისადმი სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა და მოულოდნელად გააჟღერა, რომ აუცილებლად ჩაუტარებდნენ სკოლას სარეაბილიტაციო სამუშაოებს...

ეს სამუშაოები მართლაც მალე დაიწყო და მოიცვა როგორც შენობა, ისე ეზო და მიმდებარე ტერიტორიის ნაწილიც. კეთილსინდისიერად და გულიანად იმუშავა შპს „უნივერსალ ჯორჯიამ“.

მიმდინარე წელს, 15 სექტემბერს სკოლამ ულამაზეს, თანამედროვე სტილზე განახლებულ, ახალი ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვილ შენობაში დაიწყო ახალი, 2025-2026 სასწავლო წელი.

მადლობა ყველას, ვინც ექვსი ათეული წლის ამ შენობას ახალი სიცოცხლე შთაბერა...

გასულ თვეში, ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის სრულად რეაბილიტირებული შენობის გახსნა, ბოლო წლებში, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ღირსახსოვარი და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თერჯოლის მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში...

იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალში, თერჯოლელებს ბევრჯერ გავახარებთ ასე შესანიშნავად შესრულებული იმ დაპირებებით, რომლებიც ჩვენი ხალხის კეთილდღეობას კიდევ უფრო მეტად გააუმჯობესებს.

სამუსიკო სკოლის ახალი სიცოცხლე დაიწყო!

რეპორტაჟი საზეიმო ღონისძიებიდან

საქართველოს სახალხო არტისტის ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის გახსნა

„ლექსი კედელზე“ გახსნა

იმ დღეს მზის უამრავი სხივი დაჰფენოდა ქალაქის თვალსაჩინო ადგილზე ამაყად წამომართულ, ახალი სილამაზით და სასიცოცხლო ენერგიით აღვსილ სამუსიკო სკოლას და მის ულამაზეს ეზოს...

18 სექტემბერს სკოლის ახლადრეაბილიტირებული შენობისა და დიდი მაესტროს, ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტის გახსნა იზეიმეს თერჯოლელებმა, ბიუსტისა რომელიც ბატონ ვაჟას დაბადებიდან 95-ე წლისთავზე მადლიერების ნიშნად დაუდგა მშობლიურმა რაიონმა.

თერჯოლელებს ზეიმში მონაწილეობის მისაღებად სტუმრებიც მრავლად შეუერთდნენ თბილისიდან თუ ქუთაისიდან. ისე რომ 12 საათისათვის სკოლის ეზოსა და მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე ადამიანთა ტევა არ იყო.

დიდი გახლდათ სკოლისა და ეზოს სილამაზით გამოწვეული შთაბეჭდილება და ემოცია, სტუმარ-მასპინძელთა აღტაცება... მთავარი სიურპრიზი კი მათ სკოლის შენობაში—ჰოლის, ინტერიერის, საკლასო ოთახებისდა საკონცერტო დარბაზის დათვალიერებისას იხილეს.

☞3

სამუსიკო სკოლის შენობა გახსნის მოლოდინში

ახალი საცხოვრებელი ბინები დევნილებს...

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ახალაშენებულ საცხოვრებელ კომპლექსში, 720 დევნილ ოჯახს, სრულად გარემონტებული, ახალი ბინები გადაეცა.

ოჯახებს ბინების გასაღებები, სიმბოლურად, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა გადასცეს.

ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი, საქართველოს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები დაესწრნენ.

720 დევნილ ოჯახზე გათვლილი, 3 კორპუსის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ 77 347 872 ლარი შეადგინა. გარე ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის, ბიუჯეტიდან, 2 940 000 ლარი გამოიყო.

საცხოვრებელი კომპლექსის ეზოში სტადიონი, ბავშვთა გასართობი მოედანი და სავარჯიშო სივრცე მოეწყო.

ნიკეას ქუჩაზე, 720 ბინის განაწილების პარალელურად, ქუთაისში, შერვაშიძის ქუჩაზე, ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენებულ კორპუსებში, დამატებით, 132 ოჯახი განსახლდა, რითაც მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ, 800 დევნილ ოჯახზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსში არსებული ბინები სრულად განაწილდა. ბინების დიდი ნაწილი, გასულ წლებში, დევნილ ოჯახებს უკვე გადაეცათ. ჯამში, პროექტის ბიუჯეტმა 55 000 000 ლარი შეადგინა.

იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის, ღირსეული და სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა, მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად რჩება - დევნილთა განსახლების მიზნით, საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, ქვეყნის მასშტაბით, კიდევ 4 ქალაქში მიმდინარეობს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

ბარდუბნელებს საჯარო სკოლის ახალი შენობა ექნებათ

ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა კონკურსი გამოაცხადა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარდუბანში ახალი სკოლის პროექტირებაზე.

კონკურსი ითვალისწინებს არანაკლებ 200 მოსწავლეზე გათვლილი სკოლის პროექტის შექმნას, რომელიც შემდგომში, სხვადასხვა რეგიონში გამოყენებული იქნება როგორც განმეორებადი მოდელი დამატებით 10 ობიექტზე.

სკოლაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უნდა მოეწყოს საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, ასევე, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სივრცეები.

გარდა ამისა, მოსწავლეებისთვის შენობაში განთავსებული იქნება სპორტული დარბაზი და მრავალფუნქციური სივრცე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოთახი, ეზოში კი გათვალისწინებულია სათამაშო მოედნის მოწყობა.

ინფრასტრუქტურა სრულად იქნება მორგებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებზე, რაც უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ საგანმანათლებლო გარემოს.

დასუფთავების მორიგი აქცია...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში დასუფთავების მორიგი მასშტაბური აქცია გაიმართა. აქცია მიზნად ისახავდა ჯანსაღი გარემოს შექმნისა და შენარჩუნებასთვის, ადამიანთა ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

აღნიშნულ ღონისძიებაში თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებსა და სოციალურად დაუცველ მოქალაქეებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე ჩაერთო.

დასუფთავების აქციის შედეგად შეგროვებული ნარჩენების გატანა ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა უზრუნველყო.

თერჯოლის მერია ინტენსიურად უწყობს ხელს მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებას.

საგზაო ინფრასტრუქტურა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, სოფელ ღვანკითსა და ქვედა სიმონეთში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ცენტრალური და საუბნო გზების 5-კილომეტრიან მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარი ეწყობა,პროექტის ფარგლებში სანიაღვრე არხებიც რეაბილიტირდება.

ორივე ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონების განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1 200 000 ლარზე მეტია.

ქარის ელექტროსადგური გოგნში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში, შპს „გოგნის ქარის კომპანიის“მიერ გარემოსდაცვითი სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა. მერიის დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ, კომპანიისგან სოფელ გოგნში ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ მიიღო ინფორმაცია. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ქარის ელექტროსადგურისა და მისი ქსელთან დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა-ექსპლუატაცია.

საჯარო განხილვა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა.

აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვას, თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები და მოქალაქეები დაესწრნენ.

ყოჩაღ, თერჯოლელო მკლავჭიდელებო!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ბულგარეთის ქალაქ ალბენაში გამართულ მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენებს შეხვდა და მიღწეული წარმატებები მიულოცა.

ჩემპიონატში, რომელიც 10-23 სექტემბრის პერიოდში გაიმართა, თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ.

როგორც მერმა აღნიშნა, პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენს გადაეცემა 5000 ლარი, მეორეზე გასულს 4000 ლარი, მესამეზე - 3000 ლარი, ფულადი პრიზით დაჯილდოვდება ასევე მწვრთნელი.

მკლავჭიდელმა **ლუკა ცინაძემ** 23-წლამდელთა შორის მარჯვენა და მარცხენა მკლავის გადაძალვაში დაიკავა პირველი ადგილი, ასევე დიდებს შორის, მარცხენა მკლავის გადაძალვაში დაიკავა პირველი ადგილი.

რევაზ თევდორაძემ დიდებს შორის მარჯვენა მკლავის გადაძალვაში დაიკავა მეორე ადგილი; მარცხენა მკლავში - მესამე ადგილი.

ანზორ ბროკიშვილმა 23 წლამდელთა შორის მარჯვენა მკლავის გადაძალვაში დაიკავა მესამე ადგილი.

მსოფლიო ჩემპიონებს ჯილდოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ჯამში 34 500 ლარი გადაეცემათ.

გილოცავთ!

სამუსიკო სკოლის ახალი სიცოცხლე დაიწყო!

1☜

რეპორტაჟი საზეიმო ღონისძიებიდან

ზეიმს თავისი დღის წესრიგი აქვს:

ამაღლებულ განწყობას და დღის იდეას მშვენივრად ესადაგება მარად უკვდავი, ქართველთა სავიზიტო ბარათი, ულამაზესი ქალ-ვაჟის მიერ უზადოდ შესრულებული ცეკვა „ქართული“...

„ძვირფასო სტუმრებო, საყვარელო თერჯოლელებო, ჩვენ ვხედავთ სკოლის მოდერნიზებულ შენობას, ესთეტიკურად მოწყობილ, გამწვანებულ ეზოს, მასში ორგანულად შერწყმულ თემატურ სიმბოლიკებს, შენობის მარჯვნივ, წინა ფასადზე ინოვაციური იდეის ხორცშესხმას სახელწოდებით „ლექსი კედელზე“ და უმთავრეს გზავნილს მომავლისაკენ, „იმერეთის ბულბულად“ წოდებული საოპერო ხელოვნების მოამაგის, საქართველოს სახალხო არტისტის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, ღირსების ორდენის მფლობელისა და თერჯოლის საპატიო მოქალაქის, ბატონ ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტს“, მიმართავს შეკრებილ საზოგადოებას ღონისძიების წამყვანი.

„ამ ღირსსახსოვარ დღეს უფრო მნიშვნელოვანს ხდიან საპატიო სტუმრები, რომელთა ვიზიტი უდიდესი მხარდაჭერაა ჩვენი მუნიციპალიტეტისა და დასტურია ქართული კულტურის თაყვანისცემისა:

ზვიად შალამბერიძე—საქართველოს პარლამენტის წევრი, ტყიბულის, ზესტაფონის, ბაღდათის და თერჯოლის დელეგატი.

დავით გორდელაძე—იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი.

ლევან როხვაძე—საქართველოს თეატრალური საზოგადოების იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის „თეატრალური იმერეთის“ დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ჩოხოსანთა კავშირის იმერეთის სადროშოს ხელმძღვანელი, ხელოვნების ქურუმი, ქუთაისისა და ვანის საპატიო მოქალაქე.

რეზო რობაქიძე—იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე.

აქ არიან აგრეთვე იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

წამყვანი შეკრებილ საზოგადოებას იმ თავდადებულ საქმიანობასა და ძალისხმევაზე აწვდის ინფორმაციას, რომელიც მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ ამ სკოლის რეაბილიტაციისათვის გასწია, და არა მხოლოდ ეს სკოლა. აღნიშნა, რომ მისი მთავარი საზრუნავი საკუთარი ქვეყნისათვის დაუღალავი მსახურებაა და ღირსებით სვლა მომავლისაკენ, იგი სიყვარულით ემსახურება საკუთარ ხალხს, რომ არა მისი დაუოკებელი სურვილი და ძალისხმევა, თერჯოლის მუნიციპალიტეტი მუდამ იდგეს მოწინავეთა შორის, ეს საზეიმო დღეც არ შედგებოდა...

მადლიერებით მინდა მიკროფონთან მოვიხმო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი, ამ დღისა და მუსიკალური სკოლისათვის ახალი სიცოცხლის მიმცემი, საამაყო თავკაცი და ღირსეული მასპინძელი, ბატონი მანუჩარ რობაქიძე:

„ძვირფასო თერჯოლელებო, ძვირფასო სტუმრებო, მოგესალმებით და უპირველესად გეტყვით მადლობას, იმისათვის, რომ ყველანი ერთად ვართ და ვზეიმობთ თერჯოლელთათვის ამ მნიშვნელოვანი დღის დადგომას. მიხარია, რომ შევძელით ჩვენი სამუსიკო სკოლის შესანიშნავ კოლექტივს, მის აღსაზრდელებს ამიერიდან ისეთ შენობასა და კომფორტულ გარემოში ექნებათ საშუალება ისწავლონ, იღვაწონ და დაეუფლონ ხელოვნების ამ უმშვენიერესი დარგის არსსა და ოსტატობას, როგორიც მათ ნამდვილად ეკადრება.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ეს ყველამ შევძელით, მადლობა ყველას ვინც ფინანსურად, ვინც ფიზიკურად, ვინც მორალურად გვერდით დაგვიდგა. მართალია, პროცესი ცოტა გაჭიანურდა, თუმცა, იმდენად კარგი გამოვიდა ეს ყველაფერი მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

მიხარია, რომ ამიერიდან დიდი ტრადიციების მქონე სკოლა კიდევ უფრო მეტ ღირსეულ, თაობებს აზიარებს მუსიკალურ ხელოვნებას.

მიხარია, რომ ჩემი პატარა მეგობრები, მუსიკალური ხელოვნების მოყვარულნი მეტი სიხარულითა და სიყვარულით მიესათუთებიან ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს, რასაც სიმღერა და მუსიკის საგანძური ჰქვია...

წარმატებებს ვუსურვებ თითოეულს ლამაზ სამყაროში.

ჩემო საყვარელო ადამიანებო, ჩემთვის დიდი პატივია ვაჟა კუბლაშვილის სახელობის განახლებული სამუსიკო სკოლისა და დიდი მაესტროს ბიუსტის გახსნა“...

მანუჩარ რობაქიძე ბიუსტის ავტორთან, გიორგი კიკვაძესთან და საკრებულოს წარმომადგენელთან, დავით გოგბერაშვილთან ერთად ბიუსტს თეთრ საბურველს ჩამოხსნიან უამრავი აპლოდისმენტებისა და ანსამბლ „იმერეთის“ მიერ შესრულებული „მრავალჟამიერის“ ფონზე. ბავშვები კი ყვავილებით ამკობენ ვაჟა კუბლაშვილის ბიუსტს, რომელიც ამიერიდან ნამდვილად სნორ, საჭირო ადგილას დაივანებს...

თერჯოლელთა ამაღლებულ განწყობასა და ზეიმს თავიანთი მისალმება მილოცვებით უერთდებიან სტუმრები, ბატონები: გიორგი კიკვაძე, ზვიად შალამბერიძე, დავით გორდელაძე, ლევან როხვაძე, რეზო რობაქიძე.

გამოსვლისას ზვიად შალამბერიძემ გაიხსენა, რომ მისი მამა ელდარ შალამბერიძე ამ სკოლის დირექტორი, ხოლო დედა მარინა ახრახაძე პედაგოგი იყო. ახსოვს როგორ მეგობრობდნენ ელდარ შალამბერიძე და ვაჟა კუბლაშვილი.

მანამდე კი, როცა საბურველი ჩამოიხსნა ბიუსტიდან, ღონისძიების მონაწილენი, შეკრებილი საზოგადოება დალოცა, სკოლა და ბიუსტი ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქიის მეუფე გიორგი შალამბერიძის ლოცვა-კურთხევით აკურთხა დეკანოზმა მამა ანდრია ყიფიანმა, შემდეგ კი ისაუბრა ვაჟასა და მისი ოჯახის სამაგალითო მოღვაწეობაზე, სიმღერასა და მუსიკის სფეროში.

სამუსიკო სკოლის კედელზე განთავსებული პანო, გრიგოლ რობაქიძის ლექსით, რომელიც პროფესიით ჟურნალისტს, შალვა კამლაძეს ეკუთვნის ეს არის ერთერთი ნიმუში ახალგაზრდა კაცის თანამედროვე პროგრესული ხელოვნების ინოვაციური მრავალწლიანი პროექტის „ლექსი კედელზე“ ნიმუში. ბატონმა შალვამ, რომელსაც წელს საქართველოს მწერალთა კავშირმა კულტურის ამაგდარის წოდება მიანიჭა თერჯოლელებს საზეიმო დღე მიულოცა და მადლობაც გადაუხადა მისი ნამუშევრის სამუსიკო სკოლის კედელზე განთავსების გამო.

ბატონებმა: მანუჩარ რობაქიძემ, ზვიად შალამბერიძემ, ლევან როხვაძემ, რეზო რობაქიძემ და შალვა კამლაძემ პანოსთან გადაინაცვლეს და ლენტის გაჭრით, რა დროსაც „იმერეთმა“ უკვდავი სიმღერა „3000 წელზე მეტი შეასრულა“. „ლექსი კედელზე“ გახსნა... ეს არის ერთგვარი ძეგლი ქართული სიტყვისა, კალიგრაფიისა და რწმენისა... ორივე შემთხვევაში, ბიუსტის და პანოს გახსნისას იყო ფეიერვერკები და მრავალი აპლოდისმენტი...

* * *

შემდეგ ღონისძიებამ სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გადაინაცვლა...

საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, სამუსიკო სკოლის დარბაზი ნამდვილად ვერ დაიტევდა დასწრების ყველა მსურველს, ამიტომ კონცერტის პირდაპირი ტრანსლაციის ნახვა შესაძლებელი იყო სკოლის პირველი სართულიდან.

* * *

საზეიმო ღონიძიების მონაწილენი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ინფორმაციას სამუსიკო სკოლის თაობაზე:

სკოლამ, რომელიც ვაჟა კუბლაშვილის სახელს ატარებს, სამოცი წლის მანძილზე მუსიკის სიყვარულით უკვე თაობები აღზარდა და შექმნა წარმატებებით სავსე ისტორია.

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ფორტეპიანოს, სოლო სიმღერის (როგორც კლასიკური, ისე საესტრადო), გიტარის, ვიოლინოს, ხალხური საკრავების შესწავლის სპეციალობით.

სასწავლო პროცესს სკოლის დირექტორის, ვალერი კუბლაშვილისა და სასწავლო ნაწილის გამგის, დალი ჯიხაევას ხელმძღვანელობით წარმართავენ გამოცდილი პედაგოგები.

სკოლა ყოველწლიურად მონაწილეობს 2012 წელს დაარსებულ ფესტივალში „მომავლის ვარსკვლავები“, საიდანაც მონაწილენი ლაურეატის წოდებითა და გრანპრით გვიბრუნდებიან. ბოლო წლებია სკოლას გამარჯვებული აღსაზრდელები წარმატებით გამოდიან მარნეულში გამართულ დასკვნით ფესტივალზე „სხვა საქართველო სად არის?!“

სკოლას უკვე დადგმული აქვს სამი საბავშვო ოპერა. ამჟამად დაწყებულია მუშაობა ოპერაზე: “ციცქნა იას დღეობა“, გულთამზე კუბლაშვილის ხელმძღვანელობით, რომლის პრემიერა ბავშვთა დაცვის დღეს 1 ივნისს გაიმართება...

სიმღერით: „დაილოცოს საქართველო“— სამუსიკო სკოლის პედაგოგები: გულთამზე კუბლაშვილი, ვალია მინდიევი, ანა დევიძე, ლამაზი ხმების და უზადო შესრულებით, რასაც მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

სამუსიკო სკოლის წარსულში დაბრუნება, გარდასული დღეების, ხელმძღვანელებისა და პედაგოგების გახსენება, რომელთაც შექმნეს რაიონის კულტურის ისტორია და რომელსაც დღემდე შემოუნახავს საამაყო წარსული მომავლის საწინდრად... მონიტორზე ნაჩვენებმა საპრეზენტაციო კოლაჟმა დარბაზში მყოფ მაყურებელთა ნაწილს ცრემლებიც კი მოგვარა.

წამყვანი: მოწიწებითა და მადლიერებით კიდევ ერთხელ მინდა გავაჟღერო ის ღვაწლმოსილი პიროვნებები, რომლებიც ღირსეულად ხელმძღვანელობდნენ თერჯოლის სამუსიკო სკოლას, შექმნეს საამაყო ისტორია და საკუთარი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის ამ კერის განვითარებაში. ესენი იყვნენ: ხათუნა თურმანიძე, სულიკო დვალი, ვაჟა კუბლაშვილი, ედვარდ თევდორაძე, ელდარ შალამბერიძე, ეთერ ჯავახაძე, გივი სეხნიაშვილი, ვალერიან ჭოლაძე.

ამ პიროვნებათა შორის ღონისძიებას ქალბატონი ეთერ ჯავახაძე ესწრებოდა, რომელსაც მადლობა და ყვავილები გადასცეს.

სიყვარულითა და პატივისცემით გაიხსენეს ბოლო პერიოდის ყოფილი დირექტორი, ბატონი ვალერი ჭოლაძე, განათლებული, მუსიკალური ხელოვნების ღრმად მცოდნე, საუკეთესო ლიდერი და მეგობარი, რომელიც სწორედ მაღალმაპროფესიონალიზმმა და ხელოვნების სიყვარულმა დააკავშირა კუბლაშვილებს და ლამაზი ოჯახი შექმნა ქალბატონ გულთამზესთან ერთად.

ვრცელი ბლოკი მიეძღვნა ვაჟა კუბლაშვილის პიროვნებას, მის ბიოგრაფიას, მის როლსა და მნიშვნელობას ქართულ საოპერო ხელოვნებაში.

შვილებმა რამაზ და ვალერი კუბლაშვილებმა მამის ხსოვნას მიუძღვნეს სიმღერა: „მხოლოდ შენ ერთს“, რომელსაც თავად ასრულებდა სიცოცხლეში ბატონი ვაჟა...(იხ. გვ. 6 „მიუწვდომელი სიდიადის მაესტრო...)

დიახ, ვაჟას სიცოცხლე და საქმე ანუ სიმღერის ნიჭი და სიყვარული გრძელდება მის საუკეთესო შვილებში, თითოეული თავიანთი ბიოგრაფიით, პროფესიული სიმაღლით, საკუთარი კარიერით, დღემდე განვლილი გზით, დაფასებითა და ავტორიტეტით აუცილებლად სიამაყეს მიანიჭებდა მათ ლეგენდარულ მამას. ეს რა თქმა უნდა ქალბატონ გულთამზესაც ეხება და ვაჟას კიდევ ერთ ქალიშვილს, იამზე კუბლაშვილს, რომელსაც მომღერლის პროფესია არ აურჩევია, თუმცა ისიც მღერის იმავე სიღრმითა და იმავე ბუნებრიობით.

ბატონი ვაჟას ოთხივე შვილის: რამაზ, გულთამზე, ვალერიან და იამზე კუბლაშვილების ერთობლივად შესრულებულ სიმღერას „მინდა მიყვარდე“ აპლოდისმენტებთან ერთად ფეხზეც წამოუდგა მაყურებელი. შემდეგ თითოეული მათგანი სიყვარულითა და მადლიერების სიტყვებით მიმართვადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, სტუმრებს, თერჯოლელებს, ნათესავ-მეგობრებს, ვაჟას უკვდავსაყოფად დადგმული ბიუსტის თუ მისი სახელობის სკოლის ასეთი სახეცვლილებისათვის...

☞8

მანუჩარ რობაქიძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად

მანუჩარ რობაქიძე დაიბადა 1980 წლის 18 აპრილს სოფ. გოგნში. უმაღლესი განათლებითაა. დაოჯახებულია, ჰყავს მეუღლე და შვილი.

მანუჩარ რობაქიძეს აქვს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.

2002-2006 წლებში იყო ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოს წევრი სოფელ გოგნში. 2006-2008 წლებში კი ქ. ზესტაფონში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს საერთო სექტორის ხელმძღვანელი.

2008-2017 წლებში ქ. ზესტაფონის „სს ზესტაფონ გაზში“ და შპს „სოკარ ჯორჯია გაზში“ სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზეა.

2018 წლიდან დღემდე იგი მუშაობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში. სხვადასხვა დროს იყო მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, შემდეგ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

2022 წლის ოქტომბრიდან ასრულებდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობას. 2023 წლიდან დღემდე არის თერჯოლის მუნიციპალიტეტის არჩეული მერი.

მშვიდობა საქართველოს, მეტი განვითარება თერჯოლას!

უფასო საარჩევნო რეკლამა

საქართველოს მომავალს ნიჭიერი და წარმატებული თაობა გააგრძელებს

დღე წარმატების აღიარების...

სექტემბრის მრავალ საინტერესო და ღირსახსოვარ დღეთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ 2023-2024 სასწავლო წლის წარჩინებულ კურსდამთავრებულთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანთა დაჯილდოების ცერემონია. ეს ის სასიხარულო და საამაყო ამბავია, როცა ახალგაზრდობა, პედაგოგთა საზოგადოება, მოსწავლეთა მშობლები და ახლობლები, საზოგადოების წარმომადგენლები ტრადიციულად ზეიმობენ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ლამაზად მორთული საალტო დარბაზი, ლამაზი მუსიკით შეეგება წარმატებული სწავლით გამორჩეულ, ახლა უკვე სტუდენტ გოგონებსა და ვაჟებს. სიხარული გადამდებია და ბედნიერია ყველა, ვისაც აქვს პატივი დარბაზში იყოს და გახდეს ამ ბედნიერი დღის თანამონაწილე.

ქალბატონი ქეთევანი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, უკვე სცენიდან ესალმება შეკრებილთ, მოსწავლეებსა და სტუმრებს, მოკლედ მიმოიხილავს თერჯოლის საჯარო სკოლებში არსებულ მდგომარეობას და საუბრობს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა თანადგომასა და ხელშეწყობაზე მომავალი თაობის მიმართ:

„დაიწყო სექტემბერი, ახმაურდა ქუჩები და იმატა ღელვამ.

მალე სკოლის ზარი მოგვიხმობს ყველას და დაიწყება ვისთვის პირველი და ვისთვის ბოლო წელი სასკოლო ცხოვრებისა...

ეს დღეც ამ ისტორიის ნაწილია...

დღე შრომის ნაყოფის მომკის...

დღე წარმატების აღიარების...

„წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო“ და ჩვენც მოვითვალეთ...

2023 – 24 სასწავლო წლის 67 კურსდამთავრებულს უნდა გადავცეთ დღეს ოქროსა და ვერცხლის მედლები...

თითქმის ორი ათეული წელია, რაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო საგანმანათლებლო სკოლების საშუალო საფეხურის წარჩინებით კურსდამთავრებულთათვის ამ პროგრამას ახორციელებს.

ჩვენი მუნიციპალიტეტის არაერთმა ახალგაზრდამ დაიმსახურა უკვე ეს ჯილდო და აღსანიშნავია, რომ ამით არ დამთავრებულა მათი წარმატებები და მიღწევები. თითოეული ასევე წარჩინებულ სტუდენტად მოგვევლინა და შემდგომ კი თავთავიანთ სამოღვაწეო ასპარეზზეც ისახელეს თავი.

ნაწილი მშობლიურ მუნიციპალიტეტს დაუბრუნდა და საკუთარი წვლილი შეაქვს მის განვითარებაში...

სწორედ მუნიციპალიტეტის მერის, ბატონი მანუჩარის, უშუალო ინიციატივითაა, რომ უკვე ტრადიციად იქცა მედალოსანთათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა...

ბატონი მანუჩარის ინიციატივით, ასევე ყოველწლიურად, ფულადი ჯილდო გადაეცემა ჩვენს გრანტოსან სტუდენტებს, რომელთა საერთო რიცხვი წელს 35-ია.

უკვე მეორე წელია მერია აფინანსებს შემეცნებით-გასართობ ექსკურსიებს ყველა კურსდამთავრებულისათვის მათი სურვილის შესაბამისად.

საგანმანათლებლო რესურსცენტრისა თუ სკოლების მიერ განხორციელებული პრო- ☞5



საქართველოს მომავალს ნიჭიერი და წარმატებული თაობა გააგრძელებს

დღე წარმატების აღიარების...

ექტების უცვლელი მხარდამჭერი ყოველთვის არის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო“.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა თერჯოლისა და ტყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე და თითოეული მათგანი

დალოცა. წარჩინებულ მოსწავლეებს კი კარგ სწავლას და კარგ მომავალთან ერთად რწმენაში გაძლიერება უსურვა, უფლისა და მოყვასის სიყვარულისაკენ მოუწოდა.

განათლების რესურსცენტრის საზეიმო ღონისძიებას შეუერთდა იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი ბატონი დავით გორდელაძე. მან ეს ბედნიერი დღე იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის სახელით მიულოცა სრულიად თერჯოლას, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, საგანმანათლებლო რესურსცენტრს, მედალოსან კურსდამთავრებულებს, მათ ოჯახებსა და გულშემატკივრებს.

სიტყვები წარმოთქვეს და ახალგაზრდებს სახელმწიფო ჯილდოები მიულოცეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა ჯემალ ისაკაძემ. შემდეგ თითოეული მათგანი სცენაზე მიიწვიეს და მედლების გადაცემის საპატიო მისიაც აღასრულეს...

იყო მილოცვები, მოფერება და კეთილი სურვილები...

საერთო სიხარულს შეუერთდნენ და ახალგაზრდებს საინტერესო და წარმატებული მომავალი უსურვეს ქ. თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლების დირექტორებმა: ელისო მურადაშვილმა და ფიქრია დემეტრაშვილმა, „მზეკაბანი-2007“-ის დირექტორმა აზა მემანიშვილმა, ძევრის, ეწრისა და ბარდუბნის საჯარო სკოლების დირექტორებმა: მანუჩარ ფანჩულიძემ, მირანდა ჟორჟოლაძემ და გულო სულამანიძემ, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგმა უჩა გვენეტაძემ და სხვებმა.

ახალგაზრდებს მიესალმნენ და ბედნიერი დღე მიულოცეს აგრეთვე ზვიად ბაზაძემ—მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ და მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა.

იყო მოულოდნელი სიურპრიზიც: მას შემდეგ, რაც „მზეკაბან-2007“-ის პედაგოგმა და დამრიგებელმა, ინგა გაბრიჭიძემ სიამაყით აღნიშნა, რომ დაჯილდოებულთა შორის 10 მედალოსანი მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლე იყო, გაჩნდა იდეა კლასის ხელმძღვანელის დაჯილდოებისა. რა თქმა უნდა, იდეის ავტორი მანუჩარ რობაქიძე იყო. წარმატებული კლასის დამრიგებელი ჯილდოდ 500 ლარს მიიღებს, რასაც დარბაზში აპლოდისმენტები მოჰყვა.

„დღეს მართლაც განსაკუთრებული და ემოციებით სავსე დღე გვქონდა, აღნიშნა თავის სიტყვაში მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, ეს იყო დღესასწაული, როცა ჩვენი ახალგაზრდების შრომა, მიზანდასახულობა, ცოდნის მიღებისაკენ სწრაფვა დაფასდა. დღეს 67 კურსდამთავრებულს გადაეცა დამსახურებული ჯილდო, 54 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალი. ეს თითოეული მათგანის მონდომების, ოჯახების გვერდში დგომისა და პედაგოგების დაუღალავი შრომის შედეგია. მინდა გულწრფელად მივულოცო კიდევ ერთხელ ახალგაზრდებს ეს ჯილდო, ეს მნიშვნელოვანი მიღწევა, რომელიც უდავოდ გახდება მათი მომავალი წარმატების მტკიცე საფუძველი. ისინი ქვეყნისა და ჩვენი რაიონის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ.

ეს დღე არის ერთობლივი შრომის, ერთიანობის და რწმენის ზეიმი, რწმენისა, რომ თერჯოლის და მთლიანად საქართველოს მომავალს სწორედ ასეთი ნიჭიერი და წარმატებული თაობა განაგრძობს“.

მზია ცქიფურიშვილი

ეკოკლუბი „ევერესტი“—საინტერესო სამომავლო გეგმებით

ეკოკლუბი „ევერესტი“ 2020 წელს დაარსდა ჩხარის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით. კლუბის მუშაობას ხელმძღვანელობენ ბიოლოგიის მასწავლებელი ნანა ბანძელაძე და გეოგრაფიის მასწავლებელი ირმა ბაჭვაძე. კლუბში ჩართულია საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. კლუბის საქმიანობა ეფუძნება მდგრადი განვითარების 17 მიზანს.

მიმდინარე სასწავლო წელი ეკოკლუბისათვის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და საინტერესო აღმოჩნდა. კლუბი ჩაერთო ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემია—2025. ყოველწლიური გარემოს დაცვითი კონკურსი ორგანიზებულია GENN-ის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერებების ამაღლებასა და პრაქტიკული უნერ-ჩვევების განვითარებას.

წელს კლუბის საქმიანობა ოთხ ძირითად მიზანს დაეფუძნა.

1. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება—კლუბის წევრების და პედაგოგების სურვილია გააცნობიერონ ბუნების მნიშვნელობა და გააქტიურდნენ მის დაცვაში.

2. კვლევითი უნარების განვითარება—მოსწავლეებმა უნდა შეძლონ პრობლემების კვლევა და დამოუკიდებლად გამოიტანონ დასკვნები.

3. რეგიონის პოპულარიზაცია—მოსწავლეები მასწავლებლებთან ერთად ცდილობენ ყველას გააცნონ სოფლების, მუნიციპალიტეტების კულტურა, ისტორია და ბუნება.

4. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება—კლუბი პროექტებში იყენებს თანამედროვე ციფრულ ინსტრუმენტებს, რაც ეხმარებათ პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული ცოდნა.

აქტივობები

ეკოკლუბი „ევერესტი“ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა აქტივობებით ანხორციელებს. ბიომრავალფეროვნების დღეს სკოლაში მოეწყო საგანმანათლებლო მინი კონფერენცია, სადაც საუბარი იყო ბუნების დაცვის მნიშვნელობაზე (პრეზენტაციები ორ ენაზე გაკეთდა). კლუბმა თემატური ღონისძიებებით აღნიშნა წყლის, მზის, ტყის და ფუტკრების საერთაშორისო დღეები. საინტერესო და აღსანიშნავია

აქტივობა „არ დაწვა ფოთოლი“, რომელიც შეეხებოდა სოფელში რეალურ გარემოსდაცვით პრობლემებს და მისი გადალახვის გზებს. კლუბმა ნარჩენების მართვაზე ჩაატარა გამოკითხვა, მოეწყო თემატური გამოფენა და სკოლის ეზოს ტერიტორიის დასუფთავების

აქცია. დაადგინეს პესტიციდების შემცველობა ბოსტნეულში, გამოყვეს დნმ-ს მოლეკულა ხილიდან, მოეწყო დისკუსია გენმოდიფიცირებულ საკვებზე.

კვლევები ნავენახევის და ძევრის მღვიმეში

კვლევებმა მეტი გამოცდილება შესძინათ, რაც სხვებსაც გაუზიარეს—ისწავლეს და ასწავლეს წყლის რესურსის დაცვის მნიშვნელობა და მოაწყვეს დისკუსია სხვადასხვა საკითხებზე, განახორციელეს პროექტი—ბუნებისა და ისტორიის გზაჯვარედინზე—ჩემი რეგიონის ტურისტული პოტენციალი, რისთვისაც შექმნეს კვლევითი ჯგუფები და შეხვდნენ თერჯოლის ტურიზმის სამსახურის წარმომადგენლებს. შემდეგ გაემგზავრნენ ექსპედიციაში, შეისწავლეს ძევრის გამოქვაბულები და მისი უნიკალური ლანდშაფტი, გადაიღეს კადრები და მოისმინეს მათი ისტორიები.

საბოლოოდ, პროდუქტად შექმნეს ორენოვანი ვიდეორგოლი, ინტერაქტიური რუ1ა, ძევრის საგვარჯილეს 360⁰ VR მოდელი და ბუკლეტები—რესურსი, რომელიც ტურისტებს და ადგილობრივებს ძევრის უნიკალურობას აცნობს.

კლუბის საქმიანობამ აამაღლა გარემოსდაცვითი ცნობიერება სკოლასა და თემში. განმტკიცდა კვლევითი ციფრული პროდუქტები (ვიდეო, ბუკლეტი), ჩამოყალიბდა თანამშრომლობითი ურთიერთობები ადგილობრივი ტურიზმის ცენტრთან.

ჩხარის №1 საჯარო სკოლის ეკოკლუბ „ევერესტის“ საქმიანობა აქ არ დასრულებულა, იგი ახალ ეტაპზე გადადის. ისინი გააუმჯობესებენ უკვე შექმნილ ციფრულ რესურსებს, გახდიან ყველასათვის ხელმისაწვდომს, შექმნიან ახალ ციფრულ გზამკვლევს, რითაც უფრო მეტი ადამიანი შეიტყობს ჩვენი რეგიონის ისტორიას. ამასთან, გააღრმავებენ პარტნიორობას სხვა ეკოკლუბებთან, წამოიწყებენ უფრო მასშტაბურ და საინტერესო პროექტს, შეისწავლიან რეგიონის ახალ, უცნობ ადგილებს. მეტად იზრუნებენ გარემოზე. ასეთია „ევერესტის“ გეგმა.

***

არ თქვეს, მაგრამ ცნობილია, რომ ეკოკლუბმა „ევერესტმა“ ნიკო კეცხოველის სახელობის პრემია 2025-ის ნახევარფინალში მიიღო მონაწილეობა. კლუბის წევრებმა სალომე ფანჩულიძემ და ქეთი ჩიხაძემ საინტერესო პრეზენტაცია წარადგინეს. ისაუბრეს წლის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან მომენტებზე—გარემოს დაცვითი და სოციალური პროექტების შესახებ.

პედაგოგები ნანა ბანძელაძე, ირმა ბაჭვაძე და ეკოკლუბის წევრები ბევრს მუშაობენ, რათა გარემოს დაცვაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ.

ჟუჟუნა ცხადაძე

მიუწვდომელი სიდიადის მაესტრო...

ბევრი თქმულა და დაწერილა ვაჟა კუბლაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. იყო დიდი მომღერალი, ერისკაცი, დიდი პიროვნება, გამორჩეული უბრალოებით, შრომისმოყვარეობით. ეს დიდი კაცი თერჯოლის მკვიდრი იყო და დარჩა თერჯოლაში, ღვანკითის მიწა, სახლ-კარი და წინაპართა საფლავები არასოდეს მიუტოვებია, თუმცა მისი გაქანების კაცს შეეძლო ყველგან მოეწყო ცხოვრება, ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. თერჯოლა ამაყობდა და ამაყობს ბატონი ვაჟას არსებობით. მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა მრავალი წოდება, ჯილდო და ორდენი, თერჯოლის საპატიო მოქალაქეობის მინიჭება მიაჩნდა გამორჩეულ პატივად.

წელს, 1 სექტემბერს, ბატონი ვაჟა ოთხმოცდათხუთმეტი წლის გახდებოდა. საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლებოდა დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, მაგრამ მადლობა უფალს, 75 წლის ასაკშიც ბევრი მოასწრო, არა, ბევრი კი არა ყველაფერი: სახელი, დიდება, პატივი... იგი იყო: უმაღლესი პედაგოგიური განათლებით, დამთავრებული ჰქონდა ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, 1982 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, შემდეგ კი საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1995 წელს გახდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ვაჟა—პირველი ქუთაისელი აბესალომი

ჟურნალი „ხელოვნება“ წერდა: „ქუთაისის თეატრის დიდების არც ერთი სეზონი არ შემდგარა „აბესალომის“ გარეშე, შეიქმნა მყარი ტრადიციები, ახალ დადგმაში მონაწილეობდნენ „ძველებიც“ და „ახლებიც“. ძველთაგან წარმოგვიდგა ვაჟა კუბლაშვილი—პირველი ქუთაისელი აბესალომი, რომელიც დღიდან ამ თეატრის დაარსებიდან, თავისი მომღერლური „ფორმის“ შეულახავად მღეროდა აბესალომისა და თითქმის ყველა სატენორო პარტიას, მღერის მშვენიერი ხმით, ხალასი უშუალობით და ამ თვისებებს ინარჩუნებს 60 წლის ასაკშიც“—იგი უდიდესი წარმატებით ასრულებდა: ფალიაშვილის, თაქთაქიშვილის, ლაღიძის, დოლიძის, მშველიძის, თორაძის, ანდრიაშვილის, კვერნაძის, ბალანჩივაძის, კერესელიძის ოპერებში წამყვან პარტიებს: აბესალომი, თანდარუხი, მალხაზი, მერაბი, მინდია, ბერდო, კოტე, არსაკიძე, თავადი ერისთავი, ზაქრო და მეურნე, ორფეოსი, ნიკო, მასხარა, ბერუჩა... ვაჟა კუბლაშვილი სიმღერის ტრფიალი იყო—იგი ერთნაირი ძალით, გატაცებით, შემართებით და ხალისით მღეროდა ყველგან, იქნებოდა ეს საპასუხისმგებლო სპექტაკლი, პრესტიჟული კონცერტი, ოფიციალური თავყრილობა თუ მეგობრული ნადიმი, რიგითი წარმოდგენა თუ პრემიერა“... „მომღერლის შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ქართული ფოლკლორი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქუთაისის ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლებთან და თერჯოლის კულტურის სახლის გუნდთან. მათთან ერთად მონაწილეობდა, როგორც სოლისტი, ვრცელ საკონცერტო ტურნეში ევროპის ქვეყნებში“. „წავიდა სიმღერისათვის დაბადებული კაცი, რომელმაც თავისი ხალასი ნიჭი და მადლიანი ხმა ხალხისათვის მსახურებას, მათთვის სიხარულს, ხალისისა და სიამოვნების მინიჭებას შეალია, წავიდა ჭეშმარიტი შემოქმედი, გულღია, მეგობართმოყვარე ადამიანი, სათნო, თბილი და ზნეკეთილი, ამაგდარი, ვალმოხდილი“, წერდნენ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენლები მისი გარდაცვალების დღეებში.

ამონარიდები წიგნიდან „ვაჟა კუბლაშვილი“

„ათ წელზე მეტი ვიმუშავეთ ერთად, ერთ ჭერქვეშ, ერთ კოლექტივში. ფართო დიაპაზონის, მასშტაბური, გასაოცარი ვოკალური სტაბილურობის მქონე მომღერალი, კეთილგანწყობილი, სამართლიანი, დაუზარელი ადამიანი, იგი თეატრის ჭეშმარიტი ბურჯი იყო. იყო უმშვენიერესი, განუმეორებლად თვითმყოფადი ხელოვანი, ნიჭიერი, მშრომელი, თბილი, მზრუნველი, ხალისიანი, იუმორით სავსე, საიმედო და უღალატო“ (მედეა ამირანაშვილი).

„მთელი თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და პროფესიული მომზადება მან დაუზოგავად შეალია ქუთაისის საოპერო თეატრში დიდ, ფართო, რთულ და მრავალმხრივ მოღვაწეობას. შესანიშნავია მის მიერ შექმნილი სახეები, რა თავისუფლად და ლაღად მოედინება მისი ხმა მალხაზის პარტიის შესრულების დროს, ასეთივე საოცარი ვოკალური თვისებითაა აღბეჭდილი მისი მინდია, როგორ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მისი ინტონაცია ფალიაშვილის აბესალომში“ (ნოდარ ანდღულაძე).

„იგი მეტად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ხელოვნებაში, გულღია, მართალი მშრომელი კაცი. ხალასია მისი ხმა, გულწრფელი, მართალი, ალალია მისი სიმღერა. იგი ქართული ოპერების უბადლო შემსრულებელია. ისეთი სილაღით და დაუძაბავად ჩაუტარებია მთელი სპექტაკლი, თითქოს აბესალომი და მალხაზი საგანგებოდ მისთვის ყოფილიყოს დაწერილი, სიმღერა კი მისთვის მოგონილი“ (ზურაბ ანჯაფარიძე).

„ჩემს თვალსაწიერზე არ მეგულება კაცი, რომ ასეთი მრავალმხრივი იყოს და ყოველმხრივ უბადლო. ჩემზე ამბობენ არაფერი არ მოსწონსო. რატომ იყო, რომ ვაჟასი ყველაფერი მომწონდა და ყველაფერი თვალსაჩინოდ მიმაჩნდა. ხელოვანს და ისიც ვაჟასთანას კაშკაშა მომღერალს, რა სჭირდებოდა იმაზე მეტი, რასაც ის ქვეყნისათვის, საერთოდ ხალხისთვის აკეთებდა. ჩვენ ყველანი მისთვის უნდა ვყოფილიყავით და ყველაფერი გვეკეთებინა, რომ ის ყოფილიყო ის, რაც იყო. მიწას ხელოვანი კი არა გლეხი რომ გლეხია ის მოწყდა, ამ დროს ამოდენა ხელოვანი და მიწათმოქმედი! როგორც ბარე ორი ხელოვანი ვერ დაიკვეხნის ვაჟაობას, ისე ვერც ერთი გლეხი მისებრ მიწის სიყვარულს“ (ოტია იოსელიანი).

ეს მცირე ამონარიდებია ვაჟა კუბლაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნიდან. ორმოცზე მეტი ცნობილი ადამიანი იხსენებს ვაჟა კუბლაშვილის ბიოგრაფიის შთამბეჭდავ მომენტებს, აქ ნაჩვენებია რაოდენ დიდი კაცი იყო ჩვენი თანამემამულე—ვაჟა კუბლაშვილი.

„რით მიიპყრო ვაჟა კუბლაშვილმა ყურადღება“...

„იშვიათი სილამაზის ხმით, მშვენიერი ლირიკულ-დრამატული ტენორით, არაჩვეულებრივი ფაქიზი გრძნობით, ვაჟა კუბლაშვილი არის იმ შესანიშნავ მომღერალთა რიგებში, რომლებიც ღირსეულად განაგრძობენ ქართული საოპერო ხელოვნების, ქართული სასიმღერო ხელოვნების დიდ ტრადიციას“ (ანტონ წულუკიძე).

სალომი, რომელიც დღიდან ამ თეატრის დაარსებიდან, თავისი მომღერლური „ფორმის“ შეულახავად მღეროდა აბესალომისა და თითქმის ყველა სატენორო პარტიას, მღერის მშვენიერი ხმით, ხალასი უშუალობით და ამ თვისებებს ინარჩუნებს 60 წლის ასაკშიც“—იგი უდიდესი წარმატებით ასრულებდა: ფალიაშვილის, თაქთაქიშვილის, ლაღიძის, დოლიძის, მშველიძის, თორაძის, ანდრიაშვილის, კვერნაძის, ბალანჩივაძის, კერესელიძის ოპერებში წამყვან პარტიებს: აბესალომი, თანდარუხი, მალხაზი, მერაბი, მინდია, ბერდო, კოტე, არსაკიძე, თავადი ერისთავი, ზაქრო და მეურნე, ორფეოსი, ნიკო, მასხარა, ბერუჩა... ვაჟა კუბლაშვილი სიმღერის ტრფიალი იყო—იგი ერთნაირი ძალით, გატაცებით, შემართებით და ხალისით მღეროდა ყველგან, იქნებოდა ეს საპასუხისმგებლო სპექტაკლი, პრესტიჟული კონცერტი, ოფიციალური თავყრილობა თუ მეგობრული ნადიმი, რიგითი წარმოდგენა თუ პრემიერა“... „მომღერლის შემოქმედებითი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ქართული ფოლკლორი. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქუთაისის ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლებთან და თერჯოლის კულტურის სახლის გუნდთან. მათთან ერთად მონაწილეობდა, როგორც სოლისტი, ვრცელ საკონცერტო ტურნეში ევროპის ქვეყნებში“. „წავიდა სიმღერისათვის დაბადებული კაცი, რომელმაც თავისი ხალასი ნიჭი და მადლიანი ხმა ხალხისათვის მსახურებას, მათთვის სიხარულს, ხალისისა და სიამოვნების მინიჭებას შეალია, წავიდა ჭეშმარიტი შემოქმედი, გულღია, მეგობართმოყვარე ადამიანი, სათნო, თბილი და ზნეკეთილი, ამაგდარი, ვალმოხდილი“, წერდნენ ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის წარმომადგენლები მისი გარდაცვალების დღეებში.

ამონარიდები წიგნიდან „ვაჟა კუბლაშვილი“

„ათ წელზე მეტი ვიმუშავეთ ერთად, ერთ ჭერქვეშ, ერთ კოლექტივში. ფართო დიაპაზონის, მასშტაბური, გასაოცარი ვოკალური სტაბილურობის მქონე მომღერალი, კეთილგანწყობილი, სამართლიანი, დაუზარელი ადამიანი, იგი თეატრის ჭეშმარიტი ბურჯი იყო. იყო უმშვენიერესი, განუმეორებლად თვითმყოფადი ხელოვანი, ნიჭიერი, მშრომელი, თბილი, მზრუნველი, ხალისიანი, იუმორით სავსე, საიმედო და უღალატო“ (მედეა ამირანაშვილი).

„მთელი თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და პროფესიული მომზადება მან დაუზოგავად შეალია ქუთაისის საოპერო თეატრში დიდ, ფართო, რთულ და მრავალმხრივ მოღვაწეობას. შესანიშნავია მის მიერ შექმნილი სახეები, რა თავისუფლად და ლაღად მოედინება მისი ხმა მალხაზის პარტიის შესრულების დროს, ასეთივე საოცარი ვოკალური თვისებითაა აღბეჭდილი მისი მინდია, როგორ მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მისი ინტონაცია ფალიაშვილის აბესალომში“ (ნოდარ ანდღულაძე).

„იგი მეტად საინტერესო და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ხელოვნებაში, გულღია, მართალი მშრომელი კაცი. ხალასია მისი ხმა, გულწრფელი, მართალი, ალალია მისი სიმღერა. იგი ქართული ოპერების უბადლო შემსრულებელია. ისეთი სილაღით და დაუძაბავად ჩაუტარებია მთელი სპექტაკლი, თითქოს აბესალომი და მალხაზი საგანგებოდ მისთვის ყოფილიყოს დაწერილი, სიმღერა კი მისთვის მოგონილი“ (ზურაბ ანჯაფარიძე).

„ჩემს თვალსაწიერზე არ მეგულება კაცი, რომ ასეთი მრავალმხრივი იყოს და ყოველმხრივ უბადლო. ჩემზე ამბობენ არაფერი არ მოსწონსო. რატომ იყო, რომ ვაჟასი ყველაფერი მომწონდა და ყველაფერი თვალსაჩინოდ მიმაჩნდა. ხელოვანს და ისიც ვაჟასთანას კაშკაშა მომღერალს, რა სჭირდებოდა იმაზე მეტი, რასაც ის ქვეყნისათვის, საერთოდ ხალხისთვის აკეთებდა. ჩვენ ყველანი მისთვის უნდა ვყოფილიყავით და ყველაფერი გვეკეთებინა, რომ ის ყოფილიყო ის, რაც იყო. მიწას ხელოვანი კი არა გლეხი რომ გლეხია ის მოწყდა, ამ დროს ამოდენა ხელოვანი და მიწათმოქმედი! როგორც ბარე ორი ხელოვანი ვერ დაიკვეხნის ვაჟაობას, ისე ვერც ერთი გლეხი მისებრ მიწის სიყვარულს“ (ოტია იოსელიანი).

„მსოფლიო მნიშვნელობის მათემატიკოსია ტომ დელილო. მან გამოთქვა სურვილი საქართველოში სტუმრად ჩამოსულიყო. იგი სოფელში მეწვია მეცნიერებთან და თარჯიმნებთან ერთად. შევიკრიბეთ საბიძაშვილო. გახურდა სიმღერა. ტომი თარჯიმანს ეკითხებოდა საიდან გვყავდა მოწვეული პროვინციაში ასეთი ცნობილი მომღერალი. თარჯიმანმა აუხსნა, რომ ჩვენ ბიძაშვილები ვიყავით. ტომმა არ დაიჯერა, რომ ასეთ პატარა სოფელში ასეთი მომღერალი ცხოვრობდა. იძულებული გავხდი ტომისათვის მეჩვენებინა ვაჟას დაკოჟრილი, თოხზე და ბარზე ნამუშევარი ხელები“ (მურმან კუბლაშვილი).

„ჩემზე უკეთესი მომღერალი“—მითხრა ზურაბ ანჯაფარიძემ ვაჟა კუბლაშვილზე. მომღერალმა მომღერალზე, ტენორმა ტენორზე, იმ ზურა ანჯაფარიძემ, რომელიც იდგა მსოფლიოს ყველა დროის მომღერალთა გვერდით. ვაჟა დიდი მომღერალი იყო, იმიტომ რომ დიდი მევენახე იყო, გამთენიიდან მზის ჩასვლამდე მუშაობდა, თოხსა და ბარს დაასვენებდა, თვითონ კი ქუთაისში მიეშურებოდა და ოპერის თეატრში აბესალომის პარტიას ასრულებდა. რა შეიძლება ქვეყნისათვის იმაზე დიდი სიმდიდრე იყოს, რომ სოფელში ვენახებს შორის ცხოვრობს ოჯახი, რომლის ყველა წევრი მღერის და მღერის საუკეთესოდ. მე ვნახე სოფელი, რომელიც სიცოცხლეს უხანგრძლივებს ვაჟა კუბლაშვილს, ვნახე სოფელზე გადამკვდარი კაცი, ვნახე ამ კაცის სიკვდილით დამწუხრებული მთელი საოპერო ხელოვნების წარმომადგენლები და ჭირისუფლობით გაამაყებული სოფელი. ვაჟა დიდი იყო მაშინ, როცა ვენახს ბარავდა, მაშინაც, როცა ოპერის თეატრში სცენაზე იდგა, მაშინაც, როცა ვინმეს სიხარულს თუ ჭირს იზიარებდა“ (თეიმურაზ შაშიაშვილი).

„უფალმა განსაკუთრებული ნიჭი დააბერტყა ვაჟას. ნიჭი სიყვარულის, მეგობრობის, მიმტევებლობის, უშურველობის, ქეიფის თუ სიტყვატკბილობის. ჩვენთვის კაცობის ეტალონი იყო და არა მგონია ვინმემ მეტოქეობა გაუწიოს. ერთხელ ვაჟამ გვითხრა—სოფელში სახლი უნდა გადავხურო, თუ ჩამოხვალთ, ძაან გამახარებთო. მეორე დღეს დღის მიწურულს ჩავედით ღვანკითში. სახლი გადახურული დაგვხვდა. ვაჟამ რომ დაგვინახა წამოიძახა—სულზე მომისწარითო, მეორედაც მიგვიპატიჟა. გამზადებული გვქონდა ოროყიანი თოხი. ჩავდეთ თოხი, „დიზაინერის“ ვასო ფხაკაძის მანქანაში და ერემო სვანიძესთან, ვაჟა ოყრეშიძესთან ერთად მივადექით კუბლაშვილების ოჯახს. ვასომ დიდი ზარ-ზეიმით გადმოიღო თოხი, ვაჟამ თოხის ტარზე გაკეთებული წარწერა წაიკითხა „ჩვენ ძმას ღვანკითას—ვასია ფხაკაძის და მისი მეგობრებისაგან“. არ დაგიწერიათ სწორად. რატომ ვითომ? აბა რა უნდა ეწეროს, „თუ მამკლავს, ეს მამკლავს“—ჩაიქირქილა ვაჟამ.

საოცარი ადამიანი იყო ვაჟა, საოცრად უბრალო და ულამაზესი სულის პატრონი“ (გოვენ ჭეიშვილი).

„მომღერალი, რომელიც ხუთასჯერ იმღერებს აბესალომს, ის გმირია, ეროვნული, სახალხო გმირი, მას ძეგლი უნდა დაუდგა, იმღერო ხუთასჯერ და არც ერთხელ ცუდად, ამას ემატება მალხაზი, ბერდო, მინდია, ნუთუ სამუდამოდ დადუმდა ეს მშვენიერი, ჯანსაღი და მადლიანი ხმა, ხმა ქართული და განუმეორებელი (ალეკო ხომერიკი).

ვაჟა კუბლაშვილის სახელობისა

სამუსიკო სკოლა თერჯოლაში 1965 წელს გაიხსნა, სკოლის ხელმძღვანელად ვაჟა კუბლაშვილი დაინიშნა. მერე იყვნენ სხვები, 1990-1995 წლებში ბატონი ვაჟა კვლავ სკოლის ხელმძღვანელია. სკოლას დღეს მისი შვილი ვალერი კუბლაშვილი ხელმძღვანელობს.

ახლახან დამთავრდა სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია. მიმზიდველი და კომფორტულია შენობა.

რეაბილიტირებულ სკოლას ამშვენებს წარწერა—ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო საგანმანათლებლო სასწავლებელი, ეზოს კი ბიუსტი.

სამწუხაროდ, დიდად დასანანია, რომ თავად დიდი მაესტრო უკვე 20 წელია აღარ ამშვენებს ქართულ საოპერო სცენას.

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალი სასწავლო წელი—ახალი სპორტული წარმატებები

წარმატებით დაიწყეს ახალი სასწავლო წელი ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა სხვადასხვა დაგეგმილ შეჯიბრებებზე.

18-19 აგვისტო, ქალაქი ფოთი. ზურაბ ტუღუშის მემორიალური ტურნირი ჭიდაობა სამბოში.

ნიკა ბრეგვაძე 71 კგ. მე-3 ადგილი.
ქეთი ბუცხრიკიძე 65 კგ. მე-3 ადგილი.
დიანა ქასრაშვილი 59 კგ. მე-3 ადგილი.
ლუკა მიქაბაძე 98 კგ. პირველი ადგილი.

2-6 სექტემბერი. ქალაქი ტყიბული. საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში.

გეგა გაბრიჭიძე მე-2 ადგილი.

19-21 სექტემბერი. ქალაქი ქუთაისი. გიორგი ლევიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი ბ/რ ჭიდაობაში.

გოჩა ნიკოლაძე 38 კგ. პირველი ადგილი.
ლუკა ბუიღლიშვილი 80 კგ. პირველი ადგილი.
ლუკა მაჭავარიანი 38 კგ. მეორე ადგილი.
გიორგი ჩოგოვაძე 68 კგ. მეორე ადგილი.
გიორგი ნიკოლაძე 41 კგ. მესამე ადგილი.
გაბრიელ ნიკოლაძე 44 კგ. მესამე ადგილი.
მოსე ბარდაველიძე 48 კგ მესამე ადგილი.
გიორგი ლიკლიკაძე 48 კგ. მესამე ადგილი.

გუნდები შეჯიბრებისთვის მოამზადეს ლერი ჯიხვაშვილმა, ონისე ბოჭორიშვილმა, მერი ჩაფი/ჩაძემ, გიგა ჩაფიძემ.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
მთავარი სპეციალისტი

„საპოვნელამ“ ახლიდან დაიწყო...

თერჯოლელმა ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან ჩვენი საფეხბურთო გუნდის „საპოვნელას“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში აღზევების და შემდეგ მისი მალე დატოვების ისტორია...

დღევანდელი ჩვენი წერილის მიზანი არ არის, რომ ამ ისტორიის კონკრეტულ ფაქტებზე ვისაუბროთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მოხდა ის რაც გარდაუვალი იყო—გუნდმა უმაღლეს ლიგაში დიდხანს ვერ გაძლო...

თერჯოლელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში საფეხბურთო ცხოვრება არ მოშლილა. მუშაობა გაგრძელდა საბავშვო ფეხბურთის მიმართულებით. გამოჩნდნენ ახალგაზრდები და ფეხბურთის სპეციალისტები, რომლებმაც თერჯოლას თვითმმართველობასთან ერთად პრაქტიკულად თავიდან დაიწყეს „საპოვნელას“ აღორძინება.

დღეს ჩვენი „საპოვნელა“ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ახალი მონაწილეა. მართალია, იგი ამ ჩემპიონატის დასავლეთი ზონის რეგიონლიგაში გამოდის, მაგრამ არც თუ ურიგოდ, რაც იმედს გვაძლევს, რომ ახალი „საპოვნელაც“ ბევრჯერ გაგვახარებს.

„საპოვნელას“ ახალი შემადგენლობის მთავარი მწვრთნელია რამაზ გურაბანიძე, მისი თანაშემწე კი გელა ფანჩულიძე. გუნდის ექიმ-მასაჟისტია ბესარიონ მაღლაკელიძე, მენეჯერი—მამულო კოვზირიძე.

გუნდის ცხოვრებაში აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის სპორტსკოლას და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ა(ა)იპ, მისი ხელმძღვანელი ირაკლი ჩხეიძე.

2025 წელს რეგიონალური ლიგის თამაშებმა სტარტი აიღეს. უკვე დამთავრდა პირველი წრე. მეორე წრის თამაშები კი 18 აგვისტოს მე-16 ტურის მატჩებით განახლდა.

საყურადღებოა, რომ „საპოვნელამ“ პირველი წრე გათამაშების ცხრილში მე-2 ადგილზე დაასრულა, რაც ძალზე კარგი შედეგია (ცხრილი 1).

რაც შეეხება მეორე წრის შეხვედრებს. „საპოვნელა“ სტუმრად თამაშობდა ჭიათურაში „მაღაროელთან“ და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით 1:0 დამარცხდა. მომდევნო ტურში შინ, დიდი ანგარიშით 4:1 დაამარცხა ბაღდათის „საირმე“. შემდეგ წავაგეთ ბათუმის „დინამო 2“-თან 4:2. მაგრამ მომდევნო ტურში პირნმინდად 9:0-ზე გავანადგურეთ ჩხოროწყუს „სამეგრელო“, შემდეგ კი ზუგდიდის „ოდიში“ გასვლაზე 4:3. მომდევნო 21-ე ტურში კი „საპოვნელა“ დამარცხდა ბათუმის „ვესტ-ჯორჯიასთან“ 4:1.

გუნდი ამჟამად XXI ტურის შედეგებით გათამაშების ცხრილში 48 ქულით, მეოთხეა ადგილზეა (იხ. ცხრილი 2).

აქვე გთავაზობთ „საპოვნელას“ დარჩენილი თამაშების კალენდარს.

XXII ტური: 29 სექტემბერი, ორშაბათი
„ჩიხურა“—„საპოვნელა“
XXIII ტური: 6 ოქტომბერი, ორშაბათი
„საპოვნელა“—„ეგრისი“
XXIV ტური: 13 ოქტომბერი, ორშაბათი
„ტორპედო 2“—„საპოვნელა“
XXV ტური: 21 ოქტომბერი, სამშაბათი
„საპოვნელა“—„ბსუ“
XXVI ტური: 27 ოქტომბერი, ორშაბათი
„ჯვარი“—„საპოვნელა“
XXVII ტური: 4 ნოემბერი, სამშაბათი
„საპოვნელა“—„იმერეთი“
XXVIII ტური: 10 ნოემბერი, ორშაბათი
„ხონი 2024“—„საპოვნელა“
XXIX ტური: 17 ნოემბერი, სამშაბათი
„მეშახტე 2“—„საპოვნელა“
XXX ტური: 24 ნოემბერი, ორშაბათი
„საპოვნელა“—„ჩიბათი“

ცხრილი 1

N	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	გ.	მ.	+	ქ.
1.	„ვესტ-ჯორჯია" ბათუმი	15	13	2	0	57	9	48	41
2.	„საპოვნელა" თერჯოლა	15	13	0	2	49	14	35	39
3.	„ტორპედო 2" ქუთაისი	15	12	1	2	64	13	51	37
4.	„დინამო 2" ბათუმი	15	12	1	2	55	11	44	37
5.	„ოდიში 1919 2" ზუგდიდი	15	7	4	4	36	24	12	25
6.	„იმერეთი" ხონი	15	7	3	5	46	22	24	24
7.	„ჯვარი" ჯვარი	15	7	3	5	32	24	8	24
8.	„მეშახტე 2" ტყიბული	15	8	0	7	31	26	5	24
9.	„მაღაროელი" ჭიათურა	15	6	1	8	21	36	-15	19
10.	„საირმე" ბაღდათი	15	5	3	7	27	28	-1	18
11.	„ჩიბათი" ლანჩხუთი	15	5	2	8	25	36	-11	17
12.	„ხონი 2024" ხონი	15	4	1	10	31	53	-22	13
13.	„ჩიხურა" საჩხერე	15	3	2	10	20	63	-43	11
14.	„ბსუ" ბათუმი	15	3	1	11	20	56	-36	10
15.	„ეგრისი" სენაკი	15	1	4	10	19	43	-24	7
16.	„სამეგრელო" ჩხოროწყუ	15	0	0	15	8	83	-75	0

ცხრილი 2

N	გუნდი	თ	მ	ფ	ნ	გ.	მ.	+	ქ.
1.	„ვესტ-ჯორჯია" ბათუმი	21	19	2	0	74	10	64	59
2.	„დინამო 2" ბათუმი	21	17	2	2	78	17	61	53
3.	„ტორპედო 2" ქუთაისი	21	17	1	3	90	16	74	52
4.	„საპოვნელა" თერჯოლა	21	16	0	5	69	27	42	48
5.	„ოდიში 1919 2" ზუგდიდი	21	10	5	6	46	35	11	35
6.	„ჯვარი" ჯვარი	21	10	3	8	45	35	11	33
7.	„მეშახტე 2" ტყიბული	21	10	2	9	40	35	5	32
8.	„მაღაროელი" ჭიათურა	21	9	3	9	31	46	-15	30
9.	„იმერეთი" ხონი	21	8	4	9	56	35	21	28
10.	„საირმე" ბაღდათი	21	6	7	8	32	35	-3	25
11.	„ჩიბათი" ლანჩხუთი	21	7	4	10	38	46	-8	25
12.	„ჩიხურა" საჩხერე	21	5	4	12	28	73	-45	19
13.	„ხონი 2024" ხონი	21	5	2	14	39	68	-29	17
14.	„ბსუ" ბათუმი	21	5	2	14	27	68	-41	17
15.	„ეგრისი" სენაკი	21	1	5	15	22	65	-43	8
16.	„სამეგრელო" ჩხოროწყუ	21	0	0	21	11	116	-105	0

მანანა შურღაია

„ვაი, რა ბოძი წაიქცა“-ო ამბობენ ოჯახის უფროსის გარდაცვალებისას. ძევრელ ლევან კუტალაძის ოჯახში პირველად ბოძი მაშინ წაიქცა, როცა იგი გარდაიცვალა. მეორედ მაშინ, როცა ლევანის შვილი, სრულიად ახალგაზრდა კაცი ავთო წავიდა. დიახ, ბოძი ორივე შემთხვევაში წაიქცა, მაგრამ „სახლ-კარი თავზე არ დაქცევიათ“, რადგან ოჯახს მშვენიერი რძალი მანანა შურღაია დაუდგა ბურჯად და ბალავრად. შვილების აღზრდა და ოჯახის გაძღოლა მანანამ იკისრა და ამ დანიშნულებებს ღირსეულად გაართვა თავი.

მამის გადიდებულ სურათთან დაქალდა მარიამი და დავაჟკაცდა ლევანი. და-ძმამ უმაღლესი განათლება მიიღო და როცა თითქოს მოშუშდა იარა, როცა დრომ თავისი გაიტანა და ბედნიერებამ დაისადგურა, როცა ცხოვრება აეწყო და საუკეთესოდ, მანანას ავადმყოფობამ იჩინა თავი. თვეების განმავლობაში, ამერიკიდან ჩამოსულ ლევანს წუთითაც არ მიუტოვებია დედა, თავისთავად მარიამს, მკურნალობამ შედეგი გამოიღო, ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ...

მალე ორმოცი დღე გახდება მანანა შურღაიას გარდაცვალებიდან. კვლავ გლოვაა მუდამ ხმაურიან და სტუმართმოყვარე ოჯახში. წავიდა ქალბატონი მანანა 67 წლის ასაკში და საყვარელი მეუღლის გვერდით დაიდო ბინა. წავიდა და დატოვა შვილები, შვილიშვილები, ვერ აისრულა ოცნება—ლევანის დაოჯახება, ვერც სახლის ხელახლა გაფართოება-გარემონტების სამუშაოების დამთავრებას მოესწრო. ჩაიშალა უახლოესი მეგობრების ჩანაფიქრი—გვერდით კი ვედექით ავადმყოფობისას, მაგრამ ძევრში მონახულება მაინც სხვა იქნებოდა.

მანანა შურღაია წლების განმავლობაში ძევრის საჯარო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. მრავალი თაობა აღზარდა, იყო სანიმუშო პედაგოგი და ღირსეული პიროვნება, კარგი, უღალატო მეგობარი, ყველას მომხმარე, ხელის გამმართველი და გვიკვირდა, როგორ ასწრებდა და ართმევდა თავს ოჯახს, სკოლას, ყველაფერს ადამიანურს და კეთილს.

სამეგრელოს ასული, ზუგდიდში ცნობილი ოჯახის შვილი მალე შეეჩვია ძევრს და თერჯოლას, იქაური ტრადიციები მშვენივრად შეუხამა იმერულს.

უამრავმა ადამიანმა მიაგო პატივი ქალბატონ მანანას. ასეთი ხალხმრავალი პროცესია იშვიათად გვინახავსო, ამბობდნენ პანაშვიდებისა და დასაფლავების დღეებში. სიცილი და ტირილი ძმებიაო. მანანას შემთხვევაში ასე არ ყოფილა. არც ერთი მომღიმარი სახე, მხოლოდ ჩუმი საუბარი ნაცნობებს შორის და ეს საუბარი მანანა მოგონებებით იწყებოდა და მთავრდებოდა. იხსენებდნენ მის სამაგალითო ქვრივად დარჩენას, შვილებზე, ოჯახზე გადაყოლილ ქალობას.

ზუგდიდი, ძევრი, თერჯოლა დაემშვიდობა მანანას, პატივი მიაგო მის ნათელ ხსოვნას. ძნელი იქნება მანანას გარეშე. მაინც სიმშვიდეა გულში, რადგან მას დარჩა შვილები, შვილიშვილები, რომლებიც არასროს დაივიწყებენ, არც ჩვენ დავივიწყებთ მისი უახლოესი მეგობრები, არ დაივიწყებენ მისი აღზრდილები, მანანას საფლავთან მისასვლელ ბილიკზე ბალახი არასოდეს ამოვა, სანთელი და ყვავილი არ მოაკლდება.

მშვიდობა გქონდეს შენს სამუდამო სამყოფელში, ღმერთის წიაღში და ღმერთთან ახლოს. ნუ დაღონდები დაო და მეგობარო. „შენ გიცხოვრია, როგორც უნდოდა“—შენი სიმართლე უწინამძღვრებს შენ საყვარელ ადამიანებს.

უახლოესი მეგობრები

სამუსიკო სკოლის ახალი სიცოცხლე დაიწყო!

რეპორტაჟი საზეიმო ღონისძიებიდან

ეს ამ სკოლის დირექტორის ვალერი კუბლაშვილის სიტყვებია: ვიცოდი რემონტდებოდა სკოლა და მიხაროდა, რომ უსათუოდ კარგი იქნებოდა, თუმცა ასეთს ნამდვილად არ ველოდებოდიო. ყველაფერ ამას კიდევ უფრო მეტი თავდადებული შრომით ვუპასუხებთო...

ულამაზესი კონცერტი გრძელდება და ახლა სცენაზე ამ სკოლის კურსდამთავრებულს, მუსიკალური ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენელს **ლევან მაკარიძეს** იწვევენ...

„ღვინოვ კახურო“, ცანგალას კუპლეტები ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“... მაღალი პროფესიონალური შესრულება და მხურვალე და ხანგრძლივი აპლოდისმენტები საამაყო თერჯოლელს.

საზეიმო კონცერტზე მსმენელთა წინაშე რამდენიმე მუსიკალური ნომრით წარდგა ამ სკოლის კურსდამთავრებული **ლიზი გრძელიშვილი,** იგი პედაგოგ გიული გრძელიშვილის ნამოწაფარია, რომლის მიღწევები, სიგელები, საპატიო დიპლომი, ლაურეატის წოდება, სხვადასხვა კონკურსების წარმატებული მონაწილეობა და ამ კონცერტში მის მიერ შესრულებული ნომრები ცხადყოფს რაოდენ ნიჭიერ, საშემსრულებლო ხელოვნების მაღალ დონესთან გვაქვს საქმე. მან ღირსეული პარტნიორობა გაუწია აგრეთვე გიული გრძელიშვილის მოსწავლეს მარიამ გურულს.

მაყურებელთა წინაშე ჩაიკოვსკის „რომანსის“ არაჩვეულებრივი საშემსრულებლო ხელოვნებით წარსდგა აგრეთვე ამ სკოლის კურსდამთავრებული საბა საითიძე, პედაგოგი ნორა პერანიძე, რომელმაც შემდეგ ქართულ-ინგლისური აკადემიის საფორტეპიანო განყოფილებაზე გააგრძელა სწავლა... მან შეიძლება ითქვას თავისი შესრულებით ნამდვილად მოხიბლული დატოვა მაყურებელი, რაც აპლოდისმენტებში გამოიხატა.

წამყვანმა საზოგადოებას კიდევ ერთი კუბლაშვილების გვარის საამაყო წარმომადგენელი, ვაჟა კუბლაშვილის და, რაიონის კოლორიტი და თაობათა დიდი მასწავლებელი ქალბატონი **ნაზი კუბლაშვილი** წარუდგინა. მისი საქმიანობა უკავშირდება როგორც სამუსიკო სკოლას, ასევე საჯარო სკოლებს, წლების მანძილზე მონაწილეობდა ფესტივალებსა და კონკურსებში, ჯილდოვდებოდა დიპლომებითა და სიგელებით.

დღეს ქალბატონი ნაზი პროფესიიდან მიდის, მან დაიმსახურა დასვენება. აქ კი მას განვლილ წლებისათვის მადლობა პირადად მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ გადაუხადა და სამახსოვრო საჩუქარიც გადასცა.

შემდეგ იყო შუბერტის „ავე მარია“—სამუსიკო სკოლის პედაგოგის ელისო ქომეთიანის შესრულებით, კონცერტმეისტერი გულთამზე კუბლაშვილი.

რევაზ ლაღიძის „მუსიკალური მომენტი“ სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგის მერი ჯიშკარიანის შესრულებით.

ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“—სკოლის კურსდამთავრებული ელენე ბუცხრიკიძის შესრულებით, პედაგოგი მერი ჯიშკარიანი.

ფრენკ სინატრას პოპური პედაგოგების **გულთამზე კუბლაშვილისა და მაკა კუტივაძის შესრულებით.**

სიმღერა „ჩადი მთავრე“ სამუსკო სკოლის პედაგოგების შესრულებით.

კონცერტი სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა ანსამბლმა „ჭიუხმა“ დახურა, ხელმძღვანელები გულთამზე კუბლაშვილი და რამაზ მემანიშვილი სიმღერებით: „შენმა სურვილმა დამლია“, „შაირები“—კონოფილმიდან „ხევსურული ბალადა“.

ყველაფერი იყო ამაღლებული და კარგად ორგანიზებული, რისთვისაც მადლობა დაიმსახურეს თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალურმა ცენტრმა, სამუსიკო სკოლის დირექციამ და პედაგოგებმა, რომლებიც ღირსეულად უმკლავდებოდნენ ყველა დროის გამოწვევას, დღემდე პროფესიონალიზმითა და სიყვარულით ემსახურებიან თავიანთ საქმეს...

მუნიციპალიტეტის მერმა მადლობის სიგელები გადასცა სახელოვნებო განათლების, კულტურის და ტურიზმის მუნიციპალურ ცენტრს და მის ხელმძღვანელს სოსო დევიძეს და სამუსიკო საგანმანათლებლო სკოლას და მის დირექტორს ვალერი კუბლაშვილს;

მან ასევე მადლობის სიგელები და ყვავილები გადასცა სკოლის თითოეულ პედაგოგს.

ითქვა სამადლობელი მერის მოადგილეების ზვიად ბაზაძის და მირზა ქოჩიაშვილის, ასევე ღონისძიების ორგანიზატორის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და მისი ხელმძღვანელის მაკა ასათიანის მისამართით.

მადლობა და ყვავილები გადასცეს ღონისძიების წამყვანს, №1 საჯარო სკოლის პედაგოგს ნატო კვეტენაძეს, რომელიც თავისივე ტექსტით უძღებოდა ამ ულამაზეს ღონისძიებას.

ყველაზე მრავალი მადლობა ამ ისტორიულ დღეს მუნიციპალიტეტის მერის, ბატონ მანუჩარ რობაქიძის მიმართ. გაჟღერდა სტუმართა თუ მასპინძელთა მიერ, რომ არა მისი ინიციატივა და ძალისხმევა ეს ყველაფერი არ იქნებოდა...

დასასრულს ბატონმა მანუჩარმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს მხარდაჭერისათვის და თანადგომისათვის თითოეულ თერჯოლელს, ღონისძიების მონაწილეებს ამ ლამაზ ზეიმში მონაწილეობისათვის. გამოითქვა იმედი, რომ მომავალში ერთად დგომითა და შრომით კიდევ მეტ სიკეთეს მოუტანენ თერჯოლასა და მის მოსახლეობას.

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872